



კითხვებზე პასუხი

საგრანტო კონკურსი სათავგადასავლო და სოფლის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით RFA 045-3002E-001-S-2018

კითხვა: შეიძლება თუ არა სამშენებლო სამუშაოები ჩათვლილი იქნას აპლიკანტის თანამონაწილეობად?

პასუხი: დიახ, სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯები შესაძლებელია ჩათვლილი იქნას როგორც აპლიკანტის თანამონაწილეობა. ასევე სხვა ნებისმიერი სახის ხარჯი, რომელიც უკავშირდება პროექტის განხორციელებას მაგრამ ვერ დაფინანსდება ზრდა პროექტის მხრიდან შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც აპლიკანტის თანამონაწილეობა. თუმცა გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ აპლიკანტის ფინანსური კონტრიბუცია უნდა დასტურდებოდეს ფინანსური და სხვა შესაბამისი დოკუმენტებით, რაც შესაძლოა მოითხოვოს ზრდა პროექტმა.

ქვემოთ იხილეთ ჩამონათვალი იმ ხარჯებისა რომლებსაც ვერ დაფარავს ზრდა პროექტი:

- მშენებლობა ან ნებისმიერი სახის ინფრასტრუქტურული საქმიანობა. მშენებლობა ასევე მოიცავს სარემონტო სამუშაოებს, რეკონსტრუქციას, გადაკეთებას და აღდგენის ხარჯებს.
- ცერემონიების, საღამოების, დღესასწაულების ან წარმომადგენლობითი ხარჯები.
- შეზღუდული საქონლის შესყიდვები, როგორცაა: შეზღუდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ავტომობილები მათ შორის მოტოციკლები, ფარმაცევტული პრეპარატები, სამედიცინო მოწყობილობები, კონტრაგეპტივები, მეორადი აღჭურვილობა; ზრდა პროექტის წინასწარი ნებართვის გარეშე მოპოვებულ, ან აკრძალული საქონელი, აკრძალული საქონელი USAID რეგულაციების თანახმად, მათ შორის და არა მხოლოდ შემდეგი: აბორტის მოწყობილობა და მომსახურებები, ფუფუნების საგნები და სხვა.
- ალკოჰოლური სასმელები.
- იმ საქონლის ან მომსახურებების შესყიდვა, რომელიც იზღუდება ან იკრძალება USAID წყარო / წარმოების ადგილი მოქმედი რეგულაციის შესაბამისად, (ბირმა (მიანმა), კუბა, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, (ჩრდილოეთ) სუდანი და სირია).
- ნებისმიერი შესყიდვა ან საქმიანობა, რომელიც უკვე განხორციელებულია.
- შესყიდვები ან საქმიანობები, რომელთა შესრულება არ ემსახურება ზრდა პროექტის გრანტით განსაზღვრულ მიზნებს.



- გრანტის მიმღების წინა (გრანტის მიღებამდე) ვალდებულებები და/ან ვალები, საურავები და პირგასამტეხლოები.
- შემოწირულობების ფონდების შექმნა.

კითხვა: აუცილებელია თუ არა აპლიკანტი იყოს იურიდიული პირი?

პასუხი: დიახ, აპლიკანტი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი.

კითხვა: აუცილებელია თუ არა პროექტით გათვალისწინებული ყველა სამუშაო შესრულდეს 6 თვის განმავლობაში?

პასუხი: დიახ. საგრანტო პერიოდად განსაზღვრულია მაქსიმუმ 6 თვე, რის განმავლობაშიც უნდა შესრულდეს პროექტით გათვალისწინებული ნებისმიერი საქმიანობა. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გაიზრდება საგრანტო ხანგრძლივობა 9 თვემდე. აპლიკანტმა განაცხადში უნდა დაასაბუთოს გადავადების საჭიროება.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა საჭირო ნივთების შესყიდვა ფიზიკური პირებისგან?

პასუხი: პროექტი ზრდა შესყიდვებს განახორციელებს ქემონიქსის და USAID-ის შესყიდვების პროცედურების მიხედვით. თუკი ფიზიკური პირი იქნება ერთადერთი მომწოდებელი საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია მისგან მოხდეს შესყიდვა შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

კითხვა: თუკი ბიუჯეტში ხარჯებს წარმოვადგენთ დოლარში, რა კურსით მოხდება საბოლოო ხარჯების დაანგარიშება?

პასუხი: ბიუჯეტი შევსებული და წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ქართულ ლარში.

კითხვა: შეგვიძლია თუ არა მეორადი ნივთების შესყიდვის მოთხოვნა?

პასუხი: არა, ზრდა პროექტის მხრიდან მეორადი ნივთების შესყიდვა ვერ მოხდება.

კითხვა: აუცილებელია თუ არა აპლიკაციის შევსება და წარდგენა ორივე, ქართულ და ინგლისურ ენებზე?

პასუხი: არ არის აუცილებელი ორივე ენაზე შევსება, შეგიძლიათ ქართულ ან ინგლისურ ენაზე შეავსოთ.



კითხვა: ქალაქი ზუგდიდი შედის თუ არა თქვენ სამიზნე თემების ჩამონათვალში?

პასუხი: არა. საგრანტო კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ RFA-ს დანართში D მოცემული თემების წარმომადგენლებს ან იმ პირებს რომლებიც ამ თემებში აპირებენ საქმიანობის განხორციელებას.

კითხვა: აუცილებელია თუ არა საკუთრებაში გექონდეს ის მიწა/შენობა, სადაც ვაპირებთ საქმიანობის განხორციელებას?

პასუხი: ან თქვენი საკუთრება უნდა იყოს ან იჯარით უნდა გქონდეთ აღებული.

კითხვა: შესაძლებელია თუარა დაფინანსების თანხით შევიძინოთ ინტერნეტის მიმღები მოწყობილობა?

პასუხი: დიახ, შეგიძლიათ მოითხოვოთ ნებისმიერი სახის აღწურვილობა რომელიც უკავშირდება პროექტის განხორციელებას.

კითხვა: შესაძლებელია თუარა დაფინანსების თანხა გამოყენებულ იქნას მუშა ხელის ანაზღაურებებში?

პასუხი: არა.

კითხვა: რა პერიოდი უნდა მივუთითოთ გრანტის დაწყების სავარაუდო თარიღად?

პასუხი: ზრდა პროექტის ვარაუდით, წარმატებული აპლიკანტების შერჩევა და საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება დასრულდება 2018 წლის 15 აპრილიდან ამავე წლის 15 მაისამდე. შესაბამისად, მაისის ბოლო შეგიძლიათ მიუთითოთ დაწყების სავარაუდო ვადად.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა აპლიკანტმა თანამონაწილეობის თანხა გასწიოს სხვა კომპანიის დახმარებით, მაგ. სესხის საშუალებით?

პასუხი: დიახ.

კითხვა: ღვინის მარნის შემთხვევაში, რა ხარჯები შეიძლება იყოს ზრდა პროექტის მიერ დაფარული?

პასუხი: მხოლოდ ის ხარჯები რაც პირდაპირ არ უკავშირდება ღვინის წარმოებას და დაკავშირებულია ისეთ აქტივობებთან, რომლებიც ტურისტს ადგილობრივ, უნიკალურ სამზარეულოსთან და ღვინის კულტურასთან დაახლოების შესაძლებლობას აძლევს. მაგალითად, ღვინის სადგეუსტაციო კუთხის მოწყობა.